საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაბეზია

ბაბეზია (Babesia), პიროპლაზმა (Piroplazma), უმარტივეს ცხოველთა გვარი სარკოდინების კლასისა.

მსხვ. რქ. საქონლის, ცხვრის, თხის, ღორის, ცხენის, ძაღლის და სხვათა სისხლის პარაზიტებია. იწვევენ მძიმე დაავადებას – ბაბეზიოზს. გადამტანია ტკიპები, რ-თა ნაწლავის სანათურსა ან უჯრედებში ბ. სქესობრივად მრავლდება. სისხლის წოვის დროს ტკიპა ნერწყვთან ერთად ცხოველის სისხლში უშვებს ბ-ებს, რ-ებიც ერითროციტებში აღწევენ.

საქართველოში გვხვდება ბ-ის რამდენიმე სახეობა: რქოსანი საქონლის პიროპლაზმა (Piroplasma bigeminum), ღორის პიროპლაზმა (P. suis), ცხენის პიროპლაზმა (P. caballis), ძაღლის პიროპლაზმა (P. canis) და სხვ.